პრეზიდენტი
დიტერ ფ. უხთდორფი
პირველ პრეზიდენტთა
მეორე მრჩეველი



ტაძრის კურთხევები

მე დღესაც მახსოვს როდესაც მშობლებმა მთელი ოჯახი წაგვიყვანეს შვეიცარიის ახლად აშენებულ ტაძარში, რომელიც იყო ევროპაში პირველი, რათა მარადიული ოჯახად უკვდავყოფილიყავით. მე ვიყავი 16 წლის და ოთხ შვილს შორის ყველაზე პატარა. ჩვენ ერთად დავიჩოქეთ საკურთხეველთან რათა ჩავბეჭდილიყავით, მღვდლობის უფლებამოსილებით დედამიწაზე, შესანიშნავი დაპირებით რომ შეგვიძლია სამარადისოდ ვიყოთ ჩაბეჭდილნი. მე არასდროს დამავიწყდება ეს დიდებული მომენტი.

როგორც პატარა ბიჭი, მე ვიყავი საკმაოდ გაოცებული იმით რომ უნდა გადაგველახა ქვეყნის საზღვრები რათა ოჯახად ჩავბეჭდილიყავით. ჩემთვის ეს არის იმის სიმბოლო თუ როგორ მუშაობს ტაძარი, ამქვეყნიური საზღვრების მიუხედავად საშუალებას აძლევს დედამიწის ყველა მაცხოვრებელს, მიიღოს მარადიული კურთხევები. უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ტაძრები აშენებულია ნამდვილად მთელი მსოფლიოს სასარგებლოდ, ნებისმიერი ეროვნების, კულტურის ან პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად.

ტაძრები არიან მტკიცე მოწმეები იმის, რომ სიკეთე გაიმარჯვებს. პრეზიდენტი ჯორჯ ქ. ქენონი (1827–1901), პირველ პრეზიდენტთა პირველი მრჩეველი, მან ერთხელ სთქვა, „ტაძრის საძირკველში ჩადებული ყოველი ქვა და ყოველი აშენებული ტაძარი . . . ასუსტებს სატანის ძალას დედამიწაზე და აძლიერებს ღმერთის, ღვთისმოსაობის ძალას.”[1]

თუმცა ყოველი ტაძარი აძლიერებს სამართლიანობას დედამიწაზე, რა თქმა უნდა ყველაზე დიდ კურთხევებს იღებენ ისინი ვინც იკრიბებიან ტაძარში. იქ ჩვენ ვიღებთ უფრო მეტ შუქს და ცოდნას, ასევე საზეიმოდ ვდებთ აღთქმებს რომლის შესრულება დაგვეხმარება მოწაფეობის გზით სვლაში. ერთი სიტყვით, ტაძარი გვასწავლის, ცხოვრების წმინდა დანიშნულებაზე და გვეხმარება ჩვენი ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის მოპოვებაში.

ჩვენ ტაძარში მივდივართ არა მარტო ჩვენთვის. ყოველთვის როდესაც შევდივართ ამ წმინდა შენობებში, ჩვენ შეგვაქვს წვლილი, წმინდა, გამოსყიდვის და ხსნის სამუშაოში რომელიც ხელმისაწვდომია ყველა ღმერთის შვილებისათვის, მისი მხოლოდშობილი ძის გამოსყიდვის შედეგად. ეს არის უანგარო და

წმინდა სამსახური, რომლითაც ჩვენ მოკვდავებს გვეძლევა საშუალება, მონაწილეობა მივიღოთ დიდებულ სამსახურში, რომ ვიყოთ მხსნელებად სიონის მთაზე.

მათ ვისაც, სხავდასხვა მიზეზების გამო, არ შეუძლიათ წავიდნენ ტაძარში, მე მოგიწოდებთ რომ გააკეთოთ ყველაფერი რაც შეგიძლიათ იმისათვის რომ მიიღოთ ტაძრის რეკომენდაცია. ტაძრის რეკომენდაცია არის ჩვენი რწმენის და უფალისადმი სამსახურის ერთგულების სიმბოლო. ეს არის სიმბოლო ჩვენი უფალისადმი სიყვარულის, ისე როგორც იესო ქადაგებდა, „ ვისაც აქვს ჩემი მცნებანი და იცავს მათ, მას ვუყვარვარ, ხოლო ვისაც მე ვუყვარვარ, შეიყვარებს მას მამაჩემი; მეც შევიყვარებ და ჩემს თავს გამოვუცხადებ მას" (იოანე 14:21).

მაშინ როდესაც დედამიწის პეიზაჟი სულ უფრო ლამაზდება უფალისადმი მიძღვნილი ამ წმინდა შენობებით, მე ვლოცულობ იმისათვის რომ გავაკეთებთ ყველაფერს რაც ჩვენზე არის დამოკიდებული, ტაძრის რეკომენდაციისათვის ჩვენი ღირსებით და მისი გამოყენებით იმისათვის რათა ზეცა მივუახლოვოთ დედამიწას. ამის კეთებით, ნამდვილად უფრო მეტი სამართლიანობა იქნება, არა მარტო ჩვენს ცხოვრებაში და ოჯახებში, ასევე ჩვენს საზოგადოებებში და მთელ მსოფლიოში.

შენიშვნა

1. ჯორჯ ქ. ქენონი, წიგნში "The Logan Temple," *Millennial Star,* ნოემბერი 12, 1877, 743.

ამ მოწოდების სწავლება

ადამიანების უმრავლესობა, გაკვეთილს უკეთესად ითვისებს და იმახსოვრებს თვალსაჩინო მაგალითის გამოყენებისას და არა უბრალო თხრობით (იხილეთ *Teaching, No Greater Call* [1999], 182). გაკვეთილის დროს წარმოადგინეთ ტაძრის სურათი. სტატიის წაკითხვის შემდეგ, განიხილეთ თუ რატომ არის ტაძარი პრეზიდენტი უხთდორფისათვის ასეთი მნიშვნელოვანი. სთხოვეთ პატარა ბავშვებს ოჯახში რომ დახატონ ოჯახი ტაძარში.

წიგნში *Teaching, No Greater Call* სწერია, „ვისაც ასწავლით, გაამხნევეთ, რათა დაისახონ ერთი ან რამოდენიმე მიზანი, რომელიც დაეხმარებათ იმ პრინციპით ცხოვრებისათვის, რომელიც თქვენ ასწავლეთ" (159). კითხვისას, ოჯახთან ერთად განიხილეთ, პრეზიდენტ უხთდორფის მოწოდება და სთხოვეთ ოჯახის წევრებს, რომ ჩამოწერონ თავიანთი მიზანი, რომელიც დაეხმარებათ მათ იყვნენ ღირსეულები ტაძრის რეკომენდაციისათვის და მის გამოყენებისათვის.

ახალგაზრდები

გადასახედი ამაღლებული ადგილიდან

მინდი რეინ ჰოლმსის მოთხრობა

ახალგაზრდობისას, ბევრჯერ მქონდა საშუალება ჩამეტარებინა ნათლობა გარდაცვლილთათვის, სან დიეგოს კალიფორნიის ტაძარში. მიუხედავად იმისა რომ ყოველთვის კარგი გამოცდილება მქონდა, ერთი მოგზაურობა ტაძარში, მახსოვს განსაკუთრებულად.

მე ვიყავი 16 წლის, ჩემს დას, იმ დროს სულ ახალად შეუსრულდა 12 წელი და ეს იყო მისი პირველი მოგზაურობა ტაძარში გარდაცვლილთა ნათლობების ჩასატარებლად. რადგან ის პირველად იყო ტაძარში, ჩვენ გადავწყვიტეთ ტაძარში საქმიანობის შემდეგ, გაგვესეირნა ტაძრის გარშემო.

ტაძრის ერთ მხარეს იყო რამოდენიმე გადასახედი, ჩვენც იქ მივედით. იმის გამო, რომ სან დიეგოს ტაძარი დგას დიდი გზის პირას, ტაძრის გადასახედიდან უყურებ გზას პირდაპირ ზემოდან.

იმ დღეს, ტაძრის ზემო გადასახედზე დგომისას, მე ახელებურად შევხედე ცხოვრების მიზანს. მე ზემოდან ვუყურებდი მსოფლიოს, ქვემოთ მიმავალ ავტომობილებს, ხალხმრავალ მაღაზიებს და საღებავით დასვრილ საგზაო ნიშნებს.

ზუსტად იმ დროს გამიელვა ერთმა აზრმა: „შენ არ გინდა რომ იყო იმის ნაწილი, ის არ არის რისთვისაც ცოცხლობ." მე ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ ცხოვრების მიზანი არის ის, რომ დავუბრუნდეთ და ვიცხოვროთ ჩვენს მამაზეციერთან და გავხდეთ მისნაირი. მე ვიცოდი რომ არ მჭირდებოდა ამქვეყნიური ფუფუნება, რომ მიმეღწია ამ მიზნისათვის.

მე მოვტრიალდი და შევხედე მშვენიერ ტაძარს და მადლიერი ვიყავი სახარების ცოდნისათვის და პერსპექტივისთვის რომელიც მან მომცა. მე

ვიცოდი რომ ქაოსურ და მოღალატურ მსოფლიოში მქონდა ამაღლებული ადგილი, სადაც შემეძლო დავმდგარიყავი.

იმ დღეს, ტაძარში, მე აღუთქვი მამაზეციერს, რომ ყოველთვის ვიქნებოდი მის მხარეზე და არა ამქვეყნიური მსოფლიოსი. ცხოვრებაში, რაც არ უნდა გადაგვხვდეს ამქვეყნიური მსოფლიოსაგან, ჩვენ შევძლებთ მის გადალახვას აღთქმების დაცვით, რომელებიც დავდეთ და წმინდა ადგილზე დგომით (იხილეთმოძღვრება და აღთქმები 87:8).

ბავშვები

უფრო მშვენიერი გავხადოთ მსოფლიო

Თრეზიდენტმა უხთდორფმა სთქვა, რომ როდესაც შენდება ტაძარი, ამით დედამიწაზე იზრდება ღმერთის ძალა და მსოფლიო ხდება უფრო მშვენიერი. გააფერადეთ ქვევით მოყვანილი სურათი. ქვევით მოყვანილია რომოდენიმე მშვენიერი კურთხევა რომლებსაც ადამიანები იღებენ ტაძარში. როდესაც ცხოვრობთ ღირსეულად, რომ ერთ დღეს წახვიდეთ ტაძარში, ყოველი ეს კურთხევა შეიძლება იყოს თქვენი!

სიყვარულის და მშვენიერების ადგილი

ადამიანების ნათლობა, რომლებიც ვერ მოინათლნენ, როდესაც იყვნენ ცოცხლები

ქორწინება, რომელიც შეიძლება მარადიული იყოს

მშობლებთან სამუდამოდ ჩაბეჭდილი ბავშვები

ადგილი, სადაც ასწავლიან, მამაზეციერზე და იესო ქრისტეზე

ღირსეული, ღვთის მორჩილი ცხოვრება

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია.
დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, August 2010.* Georgian. 09368 131

CHARITY NEVER FAILETH 1842

რწმენა • ოჯახი • სამსახური

განავითარეთ რწმენა და პირადი ღირსება

შეისწავლეთ ეს მასალა და შესაბამისამებრ ისაუბრეთ მასზე დებთან, რომლებსაც ესტუმრებით. დაუსვით შეკითხვები რომლებიც დაგეხმარებიან, დების რწმენის განმტკიცებაში, რათა შვების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

წმინდა წერილებიდან

ისაია 2:2 –3; D&C 109:22–23; 110:8–10

ჩვენი პასუხისმგებლობა არის ვიყოთ ღირსეულები, ტაძარში მსახურობისათვის

Აღთქმებს რომლებსაც ჩვენ ვდებთ ტაძარში და სათანადო წესჩვეულებებს რომლებსაც იქ ვიღებთ, ჩვენთვის ისინი გარდაიქმნებიან სანებართვო მანდატებად რომ ვიყოთ ღმერთის თანდასწრებით. ეს აღთქმები ჩვენ აგვამაღლებს ჩვენი შესაძლებლობების და პერსპექტივების ზღვარს მიღმა. ჩვენ ვდებთ აღთქმებს იმისათვის, რომ ვაჩვენოთ ჩვენი ერთგულება სამეფოს შენებისათვის. ამით ჩვენ ვხდებით აღთქმის მქონე ადამიანებად, რადგან ღმერთთან გვაქვს დადებული აღთქმა. ამ აღთქმებისადმი ერთგულებით, აგვიხდება ყველა დაპირებული კურთხევები. . . .

„რა შეუძლიათ გააკეთონ ეკლესიურმა ქალებმა რომ მიიღონ ტაძრის კურთხევები?

„უფალი, მისი წინასწარმეტყველებით, სთხოვს მათ, ვისაც ჯერ არ აქვს მიღებული ტაძრის კურთხევები, გააკეთონ ყველაფერი, რაც არის საჭირო, რომ გახდნენ ღირსეულნი მათ მისაღებად. მათ კი, ვისაც მიღებული აქვთ ეს კურთხევები, უფალი მოუწოდებს, რომ შესაძლებლობისამებრ ხშირად დაბრუნდნენ ტაძარში, რათა კვლავ დატკბნენ იქ მსახურობით რომ უფრო გააფართოვონ თავიანთი ხედვა და ცოდნა მისი მარადიული გეგმის შესახებ.

„მოდით ვიყოთ ტაძრის რეკომენდაციისათვის ღირსეულნი. წავიდეთ ტაძარში რათა სამარადისოდ ჩავიბეჭდოთ ოჯახებთან ერთად. ხშირად დავბრუნდეთ ტაძარში, რამდენჯერაც გვექნება ამის საშუალება. მივცეთ ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს ამაღლების მიღების შესაძლებლობა. მოდით დავტკბეთ სულიერი ძალით და ზეშთაგონებით, რომელსაც ჩვენ ვიღებთ რეგულარულად ტაძარში ყოფნით. ვიყოთ ერთგულები, დავდოთ და დავიცვათ ტაძრის აღთქმები იმისათვის, რომ მივიღოთ გამოსყიდვის ყველა კურთხევები.”[1]

სილვია ჰ. ალრედი, შვების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტის პირველი მრჩეველი.

ჩვენი წარსულიდან

პრეზიდენტი გორდონ ბ. ჰინკლი(1910–2008) გვასწავლიდა რომ შვების საზოგადოება დაარსდა იმ დებით რომლებსაც სურდათ ტაძარში მსახურობა:

„კირთლანდის ტაძრის მშენებლობის დროს, ქალებს მოუწოდეს, რომ ფაიფურის ჭურჭელი დაემტვრიათ და დაეფქვათ იმისათვის რომ ის ტაძრის კედლების ბათქაშში ჩაეყარათ, რომელიც შემდგომ მისცემდა შენობას, ბრჭყვიალა, ლამაზ ანარეკლს მზის და მთვარის შუქზე და მას დაამშვენებდა.

„იმ დროს, როდესაც ჰქონდათ ძალიან ცოტა ფული მაგრამ უხვად რწმენა, კაცებმა შესწირეს

თავიანთი ძალა და ქონება უფალის სახლის მშენებლობას. ქალები მათ უმზადებდნენ საჭმელს, ყველაზე გემრიელს, როგორიც შეეძლოთ. ედუარდ ვ. ტულიჯმა მოგვითხრო, რომ როდესაც ქალები ქსოვდნენ ტაძრის ფარდებს, იოსებ სმითმა, რომელიც მათ უყურებდა, სთქვა: დებო, თქვენ ყოველთვის გვერდზე გვიდგეხართ. ყველა კარგ საქმეებში, თითქმის ყოველთვის დები არიან პირველები. მარიამი იყო პირველი აღდგომის დღეს და ახლაც დები არიან პირველები ვინც მუშაობენ ტაძრის შიგნით. . . .

კიდევ, როდესაც შენდებოდა ტაძარი, ქალაქ ნავუში, რამოდენიმე ქალი ერთად შეიკრიბა, იმისათვის, რომ მუშებისთვის პერანგები შეეკერათ. ეს იყო წინაპირობა რომლის შედეგადაც 1842 წლის 17 მარტს, ხუთშაბათს, ოცი მათგანი შეიკრიბა წინასწარმეტყველის საწყობის ზედა ოთახში."[2] ასე დაარსდა შვების საზოგადოება.

მენიშვნები

1. სილვია ჰ. ალრედი, "Holy Temples, Sacred Covenants," *Liahona,* ნოემბერი. 2008, 113, 114.
2. გორდონ ბ. ჰინკლი, "Ambitious to Do Good," *Ensign,* მარტი. 1992, 2.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

1. როგორი დახმარება შემიძლია გავუწიო ჩემს დებს, რათა შესძლონ მომზადება და ტაძარში წასვლა.

2. როგორ შემიძლია თვალსაჩინოდ ვაჩვენო, პირვანდელი დების მემკვიდრეობა, რომლებმაც ბევრი შესწირეს იმისათვის, რომ მიეღოთ ტაძრის კურთხევები?

3. როგორ შემიძლია მოვითხოვო ტაძრის კურთხევები?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message,* August 2010. Georgian. 09367 131